საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

N 02/2027
27/07/2023

2027-01-2-202307271727

ი/მ ვიქტორია კვინტრაძეს (პ/ნ 01017043788)
(სოციალურ ქსელ „ფეისბუქ"-ის გვერდი „ONLINESHOPPING STORE")
მის: ქ. თბილისი, ლევან ღოღობერიძის ქ. N20

ქალბატონო ვიქტორია,

გაცნობებთ, რომ სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 24 ივლისის №04/449 ბრძანების საფუძველზე, დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრე - ი/მ ვიქტორია კვინტრაძის (პ/ნ 01017043788) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის" (შემდგომში - პროცედურა) მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს უფლება აქვს:

ა)ჰყავდეს წარმომადგენელი;

ბ) სააგენტოს წარუდგინოს პოზიცია, ინფორმაცია ან/და მტკიცებულებები საქმის შესწავლის ნებისმიერ ეტაპზე;

გ) გაეცნოს საქმის მასალებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით დადგენილი წესით;

დ) მოითხოვოს ინფორმაციის/მტკიცებულებების წარდგენის ვადის გახანგრძლივება;

ე) განაცხადოს აცილება სააგენტოს თანამშრომლის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ პროცედურის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს უფლება აქვს, აიღოს პირობითი ვალდებულებები კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად (შემდგომ – პირობითი ვალდებულებები).

კანონის 33-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, საქმის შესწავლის დასრულებამდე სააგენტო განიხილავს კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად მოვაჭრის მიერ შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს. თუ სააგენტო მიიჩნევს,

რომ მოვაჭრის მიერ ნაკისრი პირობითი ვალდებულებების შესრულების შედეგად აღარ იარსებებს კანონის სავარაუდო დარღვევის რისკი, იგი დაეთანხმება შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს და საქმის შესწავლას კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე დაასრულებს.

ზემოხსენებულ შემთხვევაში, სააგენტო მოვაჭრესთან დებს წერილობით შეთანხმებას ვალდებულებების შესრულების პირობებისა და ვადის შესახებ. ამის თაობაზე ინფორმაცია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ქვეყნდება.

პროცედურის მე-7 მუხლის საფუძველზე სააგენტო საქმეს შეისწავლის საქმის შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში. საქმის შესწავლა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვისა, რის შესახებაც ეცნობება როგორც განმცხადებელს, ასევე მოვაჭრეს

პროცედურის მე-17 მუხლის შესაბამისად, საქმის შესწავლის შედეგად, სააგენტო წერილობით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევის დადასტურების შესახებ;

ბ) მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ;

გ) მოვაჭრის მიერ პირობითი ვალდებულებების აღების შემთხვევაში დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე საქმის შესწავლის დასრულების შესახებ.

ამასთან, იმ შემთხვევაში თუ მოვაჭრეს სურს პოზიციის წარმოდგენა სააგენტოში წარმომადგენილის მეშვეობით, გთხოვთ წარმოგვიდგინოთ წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა).

დანართის სახით გიგზავნით სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 24 ივლისის №04/449 ბრძანების ასლს.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

N 04/449
24.07.2023

ბრძანება

449-01-4-202307241708

ზოია მუშკუდიანის განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 30-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-6 მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტების საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. ზოია მუშკუდიანის (პ/ნ [redacted]) 2023 წლის 16 ივნისის №01/2024 განცხადების საფუძველზე, დაიწყოს საქმის შესწავლა მოვაჭრე - ი/მ „ვიქტორია კვინტრაძის“ (პ/ნ01017043788) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.
2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
3. საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე ეცნობოთ მხარეებს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 24 ივლისის №03/520 მოხსენებითი ბარათი.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე